სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება # 46

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	ფოთის ,,ფოთი“ - მარნეულის,,არმაზი”		
გუნდი	მარნეულის ,,არმაზი“	შეჯიბრი	I ლიგა
მატჩის თარიღი	24.01.2026	მატჩის ადგილი	ფოთი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	მარნეულის „არმაზის“ მწვრთნელი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	გია ამირხანაშვილი		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მსაჯი გიგი სხილაძე	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია **8.2 , 8.6**	☒ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	29.01.2026	განხილვის ადგილი	სრკ ოფისი
თავმჯდომარე	დავით შუბითიძე		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ლევან ჩიკვაიძე, ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე.		
დამრღვევის დასწრება	☐ კი ☒ არა	☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი	კლუბ,, არმაზის“პრეზიდენტი	აღნიშნეთ ვინ	გიორგი სოსელია
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	სრკ-ს მიერ გადაღებული ვიდეო მასალა, ოფიციალური პირის (მთავარი მსაჯის) გიგა სხილაძის საითინგი.		

სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება # 46

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

ფაქტობრივი მოცემულობები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1.მთავარი მსაჯის საითინგი - მატჩის პირველ ნახევარში არმაზის სამწვრთნელო შტაბი მიუხედავად ოფიციალური გაფრთხილებისა არ შეწყვიტეს აპელირება მსაჯის გადაწყვეტილებებზე. მატჩის მეორე ნახევარში ლელოს დადების მომენტში ბატონი გია ამირხანაშვილი არღვევს ზონას და იწყებს ყვირილს აპელირებას მომენტზე რის შემდეგაც მიიღო წითელი ბარათი.

2.ვიდეო მასალა.

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

კლუბ „არმაზის“ პრეზიდენტმა, გიორგი სოსელიამ, სხდომაზე გულწრფელად მოინანია მომხდარი და გამოხატა წუხილი. მან სრულად დაადასტურა მსაჯის მიერ გაცემული წითელი ბარათის მართლზომიერება და დაეთანხმა საითინგში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს. გიორგი სოსელიამ აღნიშნა, რომ აპელირება გამოწვეული იყო მსაჯის გარკვეული გადაწყვეტილებებისადმი უკმაყოფილებით, თუმცა ხაზგასმით დასძინა, რომ ეს არ ამართლებს მწვრთნელის ქმედებას და მას მსგავსი ფორმით პროტესტი არ უნდა გამოეხატა

ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობა და დარღვევის დადგენა

სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების (მთავარი მსაჯის საითინგი , ვიდეო მასალა) განხილვის, მხარეთა მოსმენისა, და ახსნა-განმარტებებისა საფუძველზე, განიხილა მწვრთნელ გია ამირხანაშვილის ქმედებები და დაადგინა შემდეგი:
გია ამირხანაშვილის მიერ დარღვეულ იქნა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.2 და 8.6 პუნქტები.

8.2 (იზრუნოს იმაზე, რომ რაგბის თამაში წარიმართოს დისციპლინის და სპორტული ქცევის პრინციპების დაცვით; გააცნობიეროს, რომ ამ პრინციპების დაცვა არ არის მხოლოდ მატჩის ოფიციალური პირების მოვალეობა) 8.6 (საჯაროდ არ გააპროტესტოს და/ან პროვოცირება გაუწიოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო გაპროტესტებას)

კომისიამ მიიჩნია, რომ გია ამირხანაშვილმა ვერ უზრუნველყო რაგბის ეთიკისა და სპორტული ქცევის პრინციპების დაცვა. ნაცვლად იმისა, რომ როგორც მწვრთნელს, ხელი შეეწყო თამაშის დისციპლინირებულ ჩარჩოებში წარმართვისთვის, მან საკუთარი ქმედებით (ტექნიკური ზონის დარღვევა და ყვირილი) უგულებელყო ვალდებულება, რომლის

მიხედვითაც სპორტული პრინციპების დაცვა მატჩის ყველა მონაწილის და არა მხოლოდ მსაჯების, პასუხისმგებლობაა.

დადგინდა, რომ მწვრთნელმა საჯაროდ და აგრესიული ფორმით გააპროტესტა მატჩის ოფიციალური პირის გადაწყვეტილება. მიუხედავად იმისა, რომ კლუბის პრეზიდენტმა აპელირების მიზეზად მსაჯების სავარაუდო შეცდომა დაასახელა, კომისია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სადისციპლინო რეგულაცია კრძალავს გადაწყვეტილებების საჯარო გაპროტესტებას მატჩის მიმდინარეობისას, მიუხედავად იმისა, მართებულია თუ არა მსაჯის გადაწყვეტილება

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი მოცემულობების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე, კომისიამ დაასკვნა, რომ მწვრთნელის ქმედება სცილდება ემოციურ ფონს და წარმოადგენს რეგულაციით დადგენილი ქცევის კოდექსის დარღვევას. გადაწყვეტილების მიღებისას კომისიამ მხედველობაში მიიღო კლუბის პრეზიდენტის, გიორგი სოსელიას მიერ გამოხატული პოზიცია, ფაქტების სრული აღიარება და სინანული, რაც სანქციის განსაზღვრისას შეფასდა შემამსუბუქებელ გარემოებად.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.2 და 8.6 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. მარნეულის „არმაზის“ მწვრთნელი, **გია ამირხანაშვილი**, დისკვალიფიცირებულ იქნას **3 (სამი) სათამაშო კვირის** ოდენობით.
2. **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 2.13** პუნქტის საფუძველზე დისკვალიფიკაციის პერიოდში გია ამირხანაშვილს აეკრძალოს მარნეულის „არმაზის“ თამაშებზე **სათამაშო პერიმეტრში** ყოფნა.

   სათამაშო პერიმეტრი მოიცავს: სათამაშო მოედანს და მის მიმდებარე ტერიტორიას (ტექნიკური ზონა, სინ ბინი, მატჩის კომისრის ადგილი და ა.შ.). აღნიშნული შეზღუდვა არ მოიცავს სტადიონის ტრიბუნებს.
3. კლუბის მიმდინარე სათამაშო განრიგიდან გამომდინარე, დისკვალიფიკაციის დასრულების თარიღად განისაზღვროს **2026 წლის 22 თებერვლის ჩათვლით** პერიოდი.

   შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ შეიცვალა კლუბის სათამაშო კალენდარი, დისკვალიფიკაციის ვადა დაკორექტირდება სადისციპლინო რეგულაციის 6.1 მუხლის შესაბამისად, სანამ არ მოხდება რეალური 3 (სამი) სათამაშო კვირის გასვლა.

სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება # 46

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

4. კლუბი მარნეულის **„არმაზი“** დაჯარიმდეს **200 (ორასი) ლარით**. ჯარიმის გადახდის ბოლო ვადად განისაზღვროს **2026 წლის 1 მარტი**.

   შენიშვნა : ფულადი ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში მარნეულის,,არმაზი“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 6.3 პუნქტი - **დაკისრებული ფულადი ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ვალდებულ მხარეს ეძლევა გაფრთხილება და მიეცემა დამატებითი 10 (ათი) კალენდარული დღე ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ჯარიმის გადაუხდელობის ყოველ კვირაზე გუნდს დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა. ჯარიმის გადახდის ვალდებულება ყველა შემთხვევაში რჩება ძალაში**

თავმჯდომარე ხელმოწერა	დავით შუბითიძე	თარიღი	30/01/2026

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** 2024-10-31T20-32-08.971Z202324.pdf